საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
2020

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

დოკუმენტის გამოცემაზე პასუხისმგებელი: გურამ იმნაძე
ავტორი: ანი მუხიგულაშვილი

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
მთარგმნელი: ნინო კარანაძე
დამკაბადონებელი: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი: 150

ISBN: 978-9941-8-2159-2

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06
www.emc.org.ge
humanrightsemc@gmail.com
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

შესავალი 6
მეთოდოლოგია 7
ძირითადი მიგნებები 8

I. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის სამართლებრივი რეგულირება 10
1. საქმეთა ალბათობით განაწილება 11
2. გამონაკლისი წესით საქმეთა განაწილება 13
3. წესის გარეშე, მორიგეობითა და მაგისტრ მოხელეზე საქმეთა განაწილება 15
4. საქმეთა განაწილების შეჩერების/სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევები 17
5. საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში შეტანილი ცვლილებები 20

II. სასამართლოს თავმჯდომარის როლი საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში 24
1. მოსამართლეთა დატვირთულობა 25
2. მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრა 25
3. მორიგეობის გრაფიკის განსაზღვრა 29
4. მოსამართლის აცილება და თვითაცილება 31
5. მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა 33

III. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შემთხვევები 36

IV. მოსამართლეებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილება 39

V. მენეჯმენტის დეპარტამენტის როლი საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში 42

VI. რეკომენდაციები 44

შესავალი

საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი წესი საქართველოს პარლამენტმა სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში მიიღო და ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოზიტიური ცვლილება იყო ქართულ მართლმსაჯულებაში. წესი საქართველოს მასშტაბით არსებულ საქალაქო/რაიონულ, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში საქმეთა შემთხვევითად, ელექტრონული პროგრამის საშუალებით განაწილებას გულისხმობს. აღნიშნული ცვლილება საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა დადებითად შეაფასეს.[1] საქმეთა განაწილების ახალი წესი თავდაპირველად პილოტურ რეჟიმში დაინერგა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, 2017 წლის 31 დეკემბრიდან კი, მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდა.[2]

წინამდებარე დოკუმენტი, რიგით მეორე მონიტორინგის ანგარიშია, რომელიც მიზნად ისახავს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში შესული ცვლილებების, განახლებული სტატისტიკისა და ამ მხრივ სასამართლო სისტემაში კვლავ არსებული გამოწვევების ანალიზსა და შეფასებას. ანგარიშში მიმოხილულია საქმეთა ელექტრონული განაწილების წესთან დაკავშირებული ის ხარვეზებიც, რომლებიც პირველ საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა და მათ აღმოსაფხვრელად ნაბიჯები არ გადადგმულა. მათ შორის, წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური კონტექსტის ფონზე, 2019 წლის ივნისი-ნოემბერში საქართველოს პარლამენტთან მანიფესტაციის მიმდინარეობისას დაკავებულ პირთა საქმეების განხილვის დროს, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს პრობლემური ასპექტები, რაც თავმჯდომარის მიერ მორიგეობისა და ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობის განსაზღვრის ფართო უფლებამოსილებებით იყო გამოწვეული. ასევე, მეორე მონიტორინგის ანგარიშში გამოკვეთილია პირველ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტის მკვეთრი გაუარესების ტენდენციები.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა „სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ (FAIR) პროექტის ფარგლებში, რომელსაც, ევროკავშირის მხარდაჭერით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსა“ (IDFI) და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს.

1 European commission for democracy through law (Venice commission), joint opinion on the draft law on amendments to the organic law on general courts, ¶78; [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37iVmo7, წვდომის თარიღი: 22.01.2020] კოალიციის მოსაზრებები სასამართლოს რეფორმის „მესამე ტალღასთან“ დაკავშირებით [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RgnR0f, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

2 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

მეთოდოლოგია

მონიტორინგის ანგარიში მოიცავს პერიოდს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ანგარიშზე მუშაობისას პროექტის გუნდმა გამოიყენა კვლევისა და ინფორმაციის მოძიების რამდენიმე მეთოდი და წყარო:

კანონმდებლობისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი – მონიტორინგისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო „მესამე ტალღის“ რეფორმის შედეგად პირველი მონიტორინგის ანგარიშის შემდეგ განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვება, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის კანონმდებლობით დელეგირებულ საკითხებზე თავად საბჭოს გადაწყვეტილებების შეფასება;

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების მონიტორინგი – მეორე მონიტორინგის პერიოდში საბჭოს სხდომებზე რეგულარული დასწრება საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში დაგეგმილი ან უკვე განხორციელებული ცვლილებების შესახებ ზოგადი კონტექსტის, მიზნებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა პოზიციების გაგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო;

სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება – პროექტის გუნდმა ინტენსიურ რეჟიმში რამდენიმე ეტაპად გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტიდან, საქალაქო/რაიონული, სააპელაციო სასამართლოებიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან;

მეორადი წყაროების ანალიზი – მონიტორინგის ფარგლებში ინფორმაციის დამატებითი წყარო იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, კვლევები და შეფასებები.

ძირითადი მიგნებები

საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი წესის დამტკიცების შემდეგი პერიოდის დაკვირვება აჩვენებს, რომ სასამართლო სისტემისთვის საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დახვეწა პრიორიტეტი არ ყოფილა და ამ საკითხმა აქტუალობა დაკარგა. მეორე საანგარიშო პერიოდში საქმეთა ელექტრონული განაწილების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები პირველ საანგარიშო პერიოდში დასახელებულ გამოწვევებს ემთხვევა, ვინაიდან არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამთ. ამ პირობებში, მეორე საანგარიშო პერიოდის მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი გამოწვევები გამოავლინა:

- ნათლად არ არის განსაზღვრული საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის საგამონაკლისო შემთხვევების სამართლებრივი რეგულირება;
- ზოგიერთ სასამართლოში მოსამართლეთა სიმცირე გამორიცხავს მთელი საქართველოს მასშტაბით საქმეთა ელექტრონული განაწილების დროს შემთხვევითობის პრინციპის დაცვას;
- სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს კვლავ ენიჭებათ განაწილებული საქმეების ხედვის უფლებამოსილება;
- სასამართლოს თავმჯდომარეს ასევე შეუძლია მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებლის გაზრდა/შემცირება;
- სასამართლოს თავმჯდომარე კვლავ უფლებამოსილია, განსაზღვროს სასამართლოს ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობა, რითიც რჩება შესაძლებლობა, განსაზღვროს იმ მოსამართლეთა წრე, რომელთა შორისაც საქმე განაწილდება;
- სასამართლოს თავმჯდომარისთვის მინიჭებული, შემთხვევითობის დაუცველად, დაუსაბუთებლად, მორიგეობის გრაფიკის ცვლილების უფლებამოსილება მისი შერჩევითად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა; აღნიშნული საკითხის პრაქტიკული შემთხვევები ნათლად გამოიკვეთა საქართველოს პარლამენტთან მიმდინარე მანიფესტაციის დროს დაკავებულ პირთა საქმეების სასამართლო განხილვებზე დაკვირვებისას;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების პროგრამა სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში კოლეგიური შემადგენლობიდან ირჩევს მხოლოდ ერთ მოსამართლეს, დანარჩენ მოსამართლეთა შერჩევის პროცედურა და წესი კვლავ ბუნდოვანია;
- სათანადოდ არ არის მოწესრიგებული მოსამართლის აცილების/თვითაცილების დროს საქმეთა ხელახალი განაწილების პროცედურა და ვადები; ასევე, გამოწვევას წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმის ხელახალი განაწილების პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩართვის შესაძლებლობა;

- საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მიერ მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების პროგრამა კვლავ არ ითვალისწინებს საქმის სირთულესა და წონას, რაც აუცილებელია მოსამართლეთა თანაბარი და სამართლიანი დატვირთვისთვის;
- ის მოსამართლეები, რომლებიც სასამართლოში ასევე იკავებენ სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის/მოადგილის თანამდებობებს, აგრეთვე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები, მკვეთრად უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა მოსამართლეებთან შედარებით, რადგან საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი ამ პირებისთვის შეღავათიან დატვირთულობას ითვალისწინებს. მოსამართლის დატვირთულობა განსაკუთრებით მცირდება, თუკი ის ერთდროულად საბჭოს წევრიც არის და სხვა ადმინისტრაციული თანამდებობაც უკავია;
- მენეჯმენტის დეპარტამენტი საშტატო ნუსხით განსაზღვრული რაოდენობის სპეციალისტებით კვლავ არასრულად არის დაკომპლექტებული;
- მკვეთრად არის გაუარესებული საქმეთა განაწილების სისტემის მუშაობის თაობაზე საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტი; პროექტის გუნდისთვის, არაერთი მიმართვის მიუხედავად, არ მიუწოდებიათ კონკრეტული მოსამართლეების დატვირთულობის მაჩვენებელი; პირველი საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, ასევე არ ყოფილა ხელმისაწვდომი მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკები.

I. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის სამართლებრივი რეგულირება

სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. მესამე ტალღის ცვლილებების შემდეგ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოიყენა მისთვის დელეგირებული უფლებამოსილება და საერთო სასამართლოებში საქმეთა შემთხვევითად, ელექტრონული პროგრამის საშუალებით განაწილების წესი განსაზღვრა. საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ამოქმედების შემდეგ გამოკვეთილი არაერთი გამოწვევა დროულ და ეფექტიან რეაგირებას საჭიროებდა.

სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. მეოთხე ტალღის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები, კოალიციის, „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, წინადადებების მიუხედავად, არ ითვალისწინებდა საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული სისტემის გაუმჯობესებისთვის აუცილებელ ცვლილებებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სასამართლო სისტემის რეფორმის მეოთხე ტალღის მიღმა, 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დახვეწის ვალდებულებები აკისრია.[3] თუმცა, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ვალდებულებებისა და საქმეთა განაწილების პროცესთან დაკავშირებული ხარვეზების საპასუხოდ მათი მხრიდან სათანადო რეაგირებას ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და ცვლილებებზე პასუხისმგებელი სხვა ორგანოების მხრიდან უმოქმედობის შედეგად პირველი მონიტორინგის ანგარიშით[4] გამოვლენილი საკითხები მეორე საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევად რჩება. წინამდებარე თავში ჩამოთვლილია ის ძირითადი საკითხები, რომლებზე დროული რეაგირებაც საჭიროა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დასახვეწად, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მოსამართლეთა საქმიანობის გამჭვირვალობას.

ე.წ. მესამე ტალღის რეფორმების შედეგად „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამ-

3 სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით მათ შორის განისაზღვრა ელ.განაწილებისა და მართვის სისტემის სრულყოფა და საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში დანერგვა, რაც შესრულდა, თუმცა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც ჯერ არ არის დამტკიცებული, კვლავ მოიცავს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემასთან დაკავშირებულ აქტივობებს. მათ შორის, ერთ-ერთ ასეთ აქტივობად დასახელებულია ელექტრონული განაწილების პროგრამის მონიტორინგი მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ და შედეგების შესაბამისად პროგრამის დახვეწა/გაუმჯობესება.

4 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2vco0JD, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

ტკიცების შესახებ“ მიღებული გადაწყვეტილების[5] თანახმად, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე.[6] ხოლო, შემთხვევითი პრინციპის დაუცველად განაწილებული საქმეები მოიცავს გამონაკლისი წესით, მორიგეობითა და წესის გარეშე საქმეთა განაწილებას. ასევე, შემთხვევითი პრინციპის დაუცველად ნაწილდება საქმეები მაგისტრ მოხელეზე.

1. საქმეთა ალბათობით განაწილება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1-ლი მაისის გადაწყვეტილების თანახმად, შემთხვევითი განაწილების პრინციპი განიმარტება, როგორც წესით დადგენილი პროცედურის დაცვით ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე საქმეთა განაწილება.[7] პროექტის გუნდმა, საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების მონიტორინგის ფარგლებში, სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, მიმართა საქართველოს მასშტაბით მსხვილ სასამართლოებსა[8] და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განაწილებული საქმეების რაოდენობის შესახებ.

მხოლოდ მეორე საანგარიშო პერიოდში საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით სულ განაწილდა 293 684 საქმე.[9] ამათგან, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით განაწილებული საქმეების ჯამური რაოდენობა შეადგენს 181 757 საქმეს.[10] ხოლო, ორივე საანგარიშო პერიოდში, 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან პროექტის გუნდისთვის მიწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებში სულ 552 731

5 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

6 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 2. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc . წვდომის თარიღი: 22.01.2020]

7 იქვე.

8 ახალქალაქის რაიონული სასამართლო; ამბროლაურის რაიონული სასამართლო; ბათუმის საქალაქო სასამართლო; ბოლნისის რაიონული სასამართლო; ახალციხის რაიონული სასამართლო; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო; გორის რაიონული სასამართლო; გურჯაანის რაიონული სასამართლო; ზესტაფონის რაიონული სასამართლო; თბილისის საქალაქო სასამართლო; თბილისის სააპელაციო სასამართლო; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო; თელავის რაიონული სასამართლო; მცხეთის რაიონული სასამართლო; ოზურგეთის რაიონული სასამართლო; სამტრედიის რაიონული სასამართლო; საჩხერის რაიონული სასამართლო; სიღნაღის რაიონული სასამართლო; სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო; ფოთის საქალაქო სასამართლო; ქუთაისის საქალაქო სასამართლო; ცაგერის რაიონული სასამართლო; ზუგდიდის რაიონული სასამართლო; რუსთავის საქალაქო სასამართლო; სენაკის რაიონული სასამართლო; ხაშურის რაიონული სასამართლო; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო; საქართველოს უზენაესი სასამართლო.

9 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №28/33-03-ო.

10 იქვე.

საქმე განაწილდა. საქმეების ჯამური რაოდენობიდან, შემთხვევითობის წესის დაცვით 345 165 საქმე განაწილდა.[11]



რაც შეეხება ცალკეულ სასამართლოებში საქმეთა შემთხვევითი წესით განაწილების მაჩვენებელს, სტატისტიკური მონაცემები ამგვარად გამოიყურება:



11 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №28/33-03-ო.

2. გამონაკლისი წესით საქმეთა განაწილება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 1-ლი მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით განსაზღვრულია გამონაკლისი წესით საქმეთა განაწილების შემთხვევები, რომლის დროსაც საერთო სასამართლოებში საქმეები შემთხვევითი პრინციპის დაუცველად ნაწილდება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1-ლი მაისის გადაწყვეტილებით, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაუცველად ნაწილდება:[12]

- თუ მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი მაგისტრატი მოსამართლეა;
- რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა;
- რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მორიგე მოსამართლეა;

ასევე, წესით დეტალურად არის განსაზღვრული კონკრეტული სპეციალიზაციის საქმეებისთვის საგამონაკლისო შემთხვევების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი, რომლის დროსაც საქმეები მოსამართლეებზე შემთხვევითი პრინციპის დაუცველად, გამონაკლისი წესით ნაწილდება. სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები ნაწილდება განჩინების/გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეზე, მათ შორის, [13]

- სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სარჩელის განმეორებით წარდგენისას;
- სარჩელის მიღების შემდეგ, იმავე მხარეების მიერ, იმავე საგანზე, იმავე საფუძვლით სარჩელის განმეორებით წარდგენისას;
- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე საჩივრის წარდგენისას;
- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განმეორებით წარდგენისას და სხვ.

გარდა ამისა, წესში მითითებულია საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების განსაზღვრულ მუხლებზე, რომლის საფუძველზეც საქმეები ნაწილდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოსამართლეზე.[14] მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოში წესრი-

12 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 3. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

13 იქვე.

14 იქვე.

გის დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხს სხდომის/სასამართლოს თავმჯდომარე განიხილავს.[15]

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პროექტის გუნდისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში, რადგანაც სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა.[16] ამ კუთხით იდენტური მონაცემები გამოვლინდა პირველი მონიტორინგის პერიოდშიც.[17]

მეორე საანგარიშო პერიოდში მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება 34 მუნიციპალიტეტში,[18] ვინაიდან შესაბამის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს.[19]



15 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 212, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.

16 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №28/33-03-ო.

17 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ 16. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rgs8Rl, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

18 აბაშა, ადიგენი, ასპინძა, ახმეტა, ბაღდათი, ბორჯომი, გარდაბანი, დედოფლისწყარო, დუშეთი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, ლენტეხი, მარტვილი, ნინოწმინდა, ონი, საგარეჯო, ტყიბული, ქარელი, ქედა, ქობულეთი, ყაზბეგი, ყვარელი, შუახევი, ჩოხატაური, წალკა, წყალტუბო, ჭიათურა, ხარაგაული, ხობი, ხონი და ხულო.

19 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №28/33-03-ო.

20 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 21. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rgs8Rl, წვდომის თარიღი: 22.01.2020]



3. წესის გარეშე, მორიგეობითა და მაგისტრ მოხელეზე საქმეთა განაწილება

შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაუცველად განაწილებული საქმეები ასევე მოიცავს წესის გარეშე, მორიგეობითა და მაგისტრ მოხელეზე განაწილებულ საქმეებს. საერთო სასამართლოებში საქმეები წესის გარეშე ნაწილდება, როდესაც სასამართლოს კოლეგიაში ან/და სპეციალიზაციაში მხოლოდ ერთი მოსამართლეა.[22] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, საქმეთა მორიგეობით განაწილება გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით მორიგეობის განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც ეს საქმეები არასამუშაო და სამუშაო საათებში ნაწილდება. მსგავს შემთხვევაში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება.[23] რაც შეეხება მაგისტრ მოხელეზე საქმეთა განაწილების პრინციპს, მათზე ნაწილდება მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეები.

21 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №28/33-03-ო.

22 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის წერილი №889/2370-03-ო.

23 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

პროექტის გუნდმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, საქმეთა ელექტრონული პროგრამის საშუალებით საქართველოს საერთო სასამართლოებში შემთხვევითი პრინციპის დაცვით, გამონაკლისი წესით, მაგისტრ მოხელეზე, მორიგეობითა და წესის გარეშე განაწილებული საქმეების რაოდენობის შესახებ.[24]





24 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №27/32-03-ო.

4. საქმეთა განაწილების შეჩერების/სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევები

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით განსაზღვრულია კონკრეტულ მოსამართლეზე საქმეების განაწილების შეჩერების შესაძლებლობა სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის, შვებულების, ორსულობის, სამსახურებრივი მივლინებისა და დეკრეტული შვებულების საფუძვლებით.[25] ასეთ დროს კონკრეტულ მოსამართლეზე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით საქმეთა განაწილება დროებით ჩერდება. წესის თანახმად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 დღეს და გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა აღემატება 72 საათს.[26] მოსამართლეზე საქმეთა შეჩერებას დამატებით იწვევს მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დარჩენილი 2 თვიანი ვადა, გარდა ისეთი საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.

ასევე, მოსამართლის სხვა სასამართლოში დანიშვნა ან იმავე სასამართლოში სპეციალიზებული შემადგენლობის/კოლეგიის/პალატის ცვლილების შემთხვევაში, მასზე საქმეების განაწილება შეჩერდება საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პერიოდიდან გადაწყვეტილების ამოქმედებამდე.

რაც შეეხება საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევებს, წესით განსაზღვრული საფუძვლების არსებობა, კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული საქმეების განხილვის ვადების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, იწვევს კონკრეტულ მოსამართლეზე უკვე განაწილებული საქმის დროებით სხვა მოსამართლეზე განაწილებას. საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით გათვალისწინებულია საქმის დროებით სხვა მოსამართლისთვის გადაცემის საფუძვლები. კერძოდ, აღნიშნულ საფუძვლებს მიეკუთვნება შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდები, როდესაც მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეზე საპროცესო მოქმედებისთვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადა ირღვევა. ასევე, შუამდგომლობის განსახილველად, თუ მისმა განუხილველობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესს. გარდა ამისა, განსაკუთრებული ობიექტური გარემოების შემთხვევაში, წესით გათვალისწინებულია საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შესაძლებლობა.

25 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

26 იქვე.

საქართველოს მსხვილ სასამართლოებს პროექტის გუნდმა თხოვნით მიმართა, მიეწოდებინათ ინფორმაცია საქმის დროებით სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევების თაობაზე, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. სასამართლოებმა აღნიშნული თხოვნის პასუხად მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კონკრეტულ მუხლზე მიუთითეს[27] და აღნიშნეს, რომ ამ მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობას აფასებს და საქმის სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს კანცელარია.[28] მათი განმარტებით, სასამართლოები შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას დამატებით არ ამუშავებენ.[29]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ[30] და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულმა სასამართლომ[31] პროექტის გუნდს აცნობეს, რომ საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევას საანგარიშო პერიოდში დასახელებულ სასამართლოებში ადგილი არ ჰქონია.

პირველ საანგარიშო პერიოდში ამ მხრივ გამოიკვეთა წესში არსებული რამდენიმე ბუნდოვანება. სამწუხაროდ, მათ აღმოსაფხვრელად და პროცესის გამჭვირვალობის ასამაღლებლად, საბჭოს ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. მაგალითად, დღემდე განუსაზღვრელია განსაკუთრებული ობიექტური გარემოების ზუსტი მნიშვნელობა. განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობა წესით განსაზღვრულ სხვა საფუძვლებთან ერთობლიობაში იწვევს მოსამართლეებზე საქმეების განაწილების შეჩერებასა და საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემას.[32]

პროექტის გუნდის მიერ საქართველოს საერთო სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საპასუხოდ, რუსთავის საქალაქო სასამართლომ წარმოადგინა განმარტება, რომლითაც ხელმძღვანელობს „განსაკუთრებული ობიექტური გარემოების“ შეფასებისას.[33] სასამართლოს ინფორმაციით, შვებულება, სამსახურებრივი მივლინება

27 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.[ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

28 თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 13 იანვრის წერილი № 10; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № 3/83, 3/84; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 9 ოქტომბრის წერილი № 740.

29 სენაკის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №44; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 21 იანვრის წერილი №78; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №ხ1/1; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №34; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №25; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №474-2; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №46; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №9-7.

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № ნს/03-20.

31 სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის წერილი № 2.

32 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

33 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № 74/გ.

და დროებითი შრომისუუნარობა განისაზღვრება შესაბამისი აქტით და არ წარმოშობს ბუნდოვანებას. რაც შეეხება განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობის დასადგენად მხედველობაში მიიღება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სტანდარტები, რომლის არსებობაც თავად საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ ფასდება.[34] აღსანიშნავია, რომ საბჭოს მიერ დამტკიცებული საქმის განაწილების წესი მოსამართლის მიერ კონკრეტული გარემოების განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად მიჩნევის შეფასების გადამოწმების/შეცვლის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.[35]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელზეც რუსთავის საქალაქო სასამართლო მიუთითებს, განმარტავს, მხარის განცხადების ან შუამდგომლობის წარუდგენლობის შემთხვევაში კანონის მიზნებისთვის რა შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად. ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი „საპატიო მიზეზის“ ზოგად განმარტებას გვთავაზობს და აღნიშნული ტერმინის ქვეშ მოიაზრებს ავადმყოფობის, ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოების გამო სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობას.[36]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტება გარკვეულწილად პასუხობს ტერმინის განუსაზღვრელობით გამოწვეულ ბუნდოვანებას. თუმცა მითითებული მუხლები მიემართება პროცესის მონაწილის შესაძლო გამოუცხადებლობასა და აღნიშნული ქმედების გამომწვევი მიზეზების დასაბუთებას. საყურადღებოა, რომ პროცესის მონაწილის შესაძლო გამოუცხადებლობასა და მოსამართლეებზე საქმეთა ელექტრონულ განაწილებას შორის პირდაპირი კავშირი არ იკვეთება. ამასთან, რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი წარმოადგენს კონკრეტული სასამართლოს ინდივიდუალურ მიდგომას და კვლავ უცნობია, რითი ხელმძღვანელობენ საქართველოს საერთო სასამართლოები ტერმინის ცხადი განმარტების არარსებობის პირობებში. საბჭოს 2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებაში არ არის მითითება, რომ აღნიშნულ წესში დასახელებული განსაკუთრებული ობიექტური გარემოება იმავე მნიშვნელობის მატარებელია, რა მნიშვნელობითაც არის ის განსაზღვრული საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის მუხლებში. ასევე, პრობლემურია ისიც, რომ საქმეთა განაწილების ახალი სისტემის დანერგვას აუცილებელი ცვლილებების სისტემური გააზრება არ მოჰყოლია და არც არსებული საპროცესო კანონმდებლობა მისადაგებია დანერგილი სიახლის მიზნებს.

34 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № 74/გ.

35 იქვე.

36 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 215.

5. საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში შეტანილი ცვლილებები

პირველ საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის“ დამტკიცების თაობაზე მიღებულ 2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებაში ცვლილებები განსაკუთრებული სიხშირით შედიოდა. მეორე საანგარიშო პერიოდში, თვეების განმავლობაში, საბჭოს მხრიდან საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დასახვეწად აუცილებელი არაერთი საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. 2019 წელს საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში ცვლილება პირველად მხოლოდ სექტემბერში შევიდა. წინამდებარე ქვეთავში განხილულია ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მეორე საანგარიშო პერიოდში შეიტანა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში.

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში შეტანილი ცვლილებების თაობაზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სიხშირე



აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში შეტანილი პირველი ცვლილებით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში გაჩენილი ახალი თავით განსაზღვრული დავები ასევე მოექცა საქმეთა ჩამონათვალში, რომლებიც შემთხვევითი წესით ნაწილდება.[37] წესის თანახმად, შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ კონკრეტული ტიპის საქმეთა რაოდენობებს შორის

37 საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TSvD1U, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

სხვაობა სამს არ უნდა აღემატებოდეს.[38] იმავე წესით დადგენილია რაიონულ/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის აღნიშნული სხვაობის დაცვის შემთხვევების ჩამონათვალი.[39] მათ შორის არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კონკრეტული თავებით გათვალისწინებული საქმეები/საჩივრები. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილებასთან მისადაგების მიზნით,[40] საბჭოს მიერ დამტკიცებულ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში შევიდა ცვლილება და წესით დადგენილ ჩამონათვალს საპროცესო კოდექსის ახალი VII[16] თავი დაემატა.[41]

მეორე საანგარიშო პერიოდში ასევე შეიცვალა მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნისას საქმეთა განაწილების წესის რეგულირება.[42] საბჭოს სხდომაზე განიმარტა, რომ ამ საკითხის პრობლემურობა განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა მოსამართლეთა სხვა სასამართლოში/ინსტანციაში კონკურსის წესის გარეშე გადასვლის პროცედურების დასასრულს. აღნიშნული შესაძლებლობა განსაზღვრულია საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნას, ან/და იმავე პროცედურების საფუძველზე, მოსამართლის მიერ ინსტანციის შეცვლას.[43]

კონკურსის წესის გარეშე მოსამართლეთა ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში/სხვა ინსტანციაში გადაყვანის დროს, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლისთვის საქმეების დასასრულებლად გონივრული ვადის მიცემის თაობაზე. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ასეთ შემთხვევებში, მოსამართლეებს, მათ წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობიდან გამომდინარე, 5/7/10 დღიანი ვადა ეძლევათ მათ მოსაწესრიგებლად. თუმცა ცვლილებამდე ელექტრონული განაწილების წესი არ ითვალისწინებდა მოსამართლის სხვა სასამართლოში/ინსტანციაში კონკურსის წესის გარეშე გადაყვანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან გადაწყვეტილების ამოქმედებამდე, მასზე საქმეების განაწილების შეჩერებას. ახალი მიდგომის თანახმად, საბჭოს მიერ მოსამართლის სხვა სასამართლოში/ინსტანციაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან გადაწყვეტილების ამოქმედებამდე შეჩერდება ამ მოსამართლეზე ახალი საქმეების განაწილების პროცესი.[44]

38 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 5. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

39 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4 და 4[1]. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

40 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 23 სექტემბრის გადაწყვეტილება № 1/215. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dqsePe, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

41 იქვე.

42 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/301, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30G5ZPB, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

43 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლი 37.

44 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/301, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30G5ZPB, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თანმდევი ცვლილებები შეიტანა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში, რომლის თანახმადაც სხვა მოსამართლეებზე საქმის განაწილების საფუძვლების ჩამონათვალს დაემატა მოსამართლის სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის საფუძველი.[45] ამ საკითხთან დაკავშირებით, საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა.[46] კერძოდ, მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ან სხვა სასამართლოში/კოლეგიაში უფლებამოსილების შესრულების დაწყებიდან 3 თვის ვადაში მოქმედი მოსამართლის იმავე სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში დაბრუნების შემთხვევაში, გადასვლამდე მის წარმოებაში არსებული საქმეები, რომლებიც ამ საფუძვლით სხვა მოსამართლეებზე განაწილდა, აღნიშნულ მოსამართლეს დაუბრუნდება.[47]

მეორე საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კიდევ ერთი ცვლილება მოსამართლეთა დატვირთულობის შეღავათიან მაჩვენებელს ეხებოდა.[48] საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის თანახმად, საქალაქო, სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე/მოადგილეზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში საქმეები ნაწილდება არაუმეტეს 5%-იანი დატვირთულობით. ცვლილების თანახმად, იმ პირების ჩამონათვალს, რომლებიც სარგებლობენ შეღავათიანი დატვირთულობით, დაემატა პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მეორე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული უახლესი ცვლილება საკასაციო და სააპელაციო ინსტანციების გადაწყვეტილებით საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების წარდგენის შემთხვევებს უკავშირდება.[49] ცვლილების თანახმად, საკასაციო ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქმე პირველი ინსტანციის თავდაპირველ განმხილველ მოსამართლეზე არ განაწილდება, თუ იგი იმავე სპეციალიზაციაში აღარ საქმიანობს. იგივე წესი გავრცელდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ წარდგენილ განცხადებასთან მიმართებით. ასეთ დროს, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, საქმე ხელახლა განაწილდება შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეზე.[50]

45 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/301, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30G5ZPB, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

46 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/301, მუხლი 5. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30G5ZPB, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

47 იქვე.

48 იქვე.

49 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება № 1/319. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ReNgal, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

50 იქვე.

მეორე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების ნაწილი პოზიტიურია, ვინაიდან კონკრეტული საკითხები უფრო ნათლად განისაზღვრა, თუმცა ცვლილებები ფრაგმენტულია და ისინი არსებითად ვერ აუმჯობესებს ვითარებას. აღნიშნული ცვლილებები ვერ პასუხობს მონიტორინგის ანგარიშით გამოვლენილ განსაკუთრებით მნიშვნელოვან გამოწვევებს, რაც საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დახვეწას უზრუნველყოფდა. ამავე დროს, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაიზარდა იმ პირთა წრეც, ვინც საქმეთა დატვირთულობის შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობს, რაც უარყოფით შეფასებას იმსახურებს.

II. სასამართლოს თავმჯდომარის როლი საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში

პირველი მონიტორინგის ანგარიშში[51] საქმეთა განაწილების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა სასამართლოების თავმჯდომარეთა უფლებამოსილებების პრობლემურობა. სასამართლო სისტემის მესამე ტალღის ცვლილებების შედეგად, საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი წესის შემოღების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, სწორედ თავმჯდომარეთა მხრიდან ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობაზე არასათანადო გავლენების რისკების მინიმუმამდე შემცირება იყო. ვენეციის კომისიამ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში დაგეგმილი ცვლილებების შეფასებებისას, ასევე გამოთქვა მოსაზრება საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით, სადაც საქმეთა განაწილების პროცესში თავმჯდომარეთა ჩართულობასთან დაკავშირებულ რისკებზე მიუთითა.[52] პირველ ანგარიშში მიმოხილულია თავმჯდომარის ის ფუნქციები, რომლებიც მათ ხელში საქმეთა განაწილების პროცესზე ჭარბი გავლენების კონცენტრაციას განაპირობებს.[53] კერძოდ, ანგარიშში დასახელებულ გამოწვევებს შორის არის:

- თავმჯდომარეთა მიერ მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების ხედვისა და დატვირთულობის გაზრდისა და შემცირების უფლებამოსილება;
- მორიგეობის დადგენისა და მასში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება;
- ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრისა და ცვლილების უფლებამოსილება ნათლად დადგენილი პროცედურის გარეშე;
- მოსამართლეთა თვითაცილების/აცილების დროს თავმჯდომარეთა ჩართულობა;
- კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრის პროცესში თავმჯდომარეთა მონაწილეობა;

წინამდებარე ქვეთავში მიმოხილულია ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც გამოვლინდა პირველ საანგარიშო პერიოდში, თუმცა მათი გამოსწორების მხრივ რაიმე ცვლილება არ განხორციელებულა.

51 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი", „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება", 2019, გვ. 33. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rgs8Rl , წვდომის თარიღი: 22.01.2020]

52 European commission for democracy through law (Venice commission), joint opinion on the draft law on amendments to the organic law on general courts, ¶78. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37iVmo7, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

53 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი", „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება", 2019, გვ. 33. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rgs8Rl , წვდომის თარიღი: 22.01.2020]

1. მოსამართლეთა დატვირთულობა

სასამართლო სისტემაში არსებული მთელი რიგი გამოწვევები წლების განმავლობაში თავმჯდომარეთა როლის არასწორ გაგებაზე იყო დაფუძნებული.[54] ამ კონტექსტში,[55] განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლოს თავმჯდომარეების, მათი მოადგილის ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მიერ მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების ხედვის უფლება. ამასთან, სასამართლოს თავმჯდომარეს ენიჭება მოსამართლეთა დატვირთულობის 25%-იანი ბიჯით გაზრდის უფლებამოსილება, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად.[56] გარდა ამისა, თავმჯდომარეს შეუძლია, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ოჯახური მდგომარეობისა და მოსამართლის ჯანმრთელობის საფუძვლებით, ან სხვა ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით, შეამციროს მოსამართლის დატვირთულობა არაუმეტეს 50%-იანი ბიჯით. მოსამართლეთა დატვირთულობასთან დაკავშირებული ცვლილების განხორციელების საფუძვლები სუბიექტური შეფასების ფართო შესაძლებლობას იძლევა. მსგავსი უფლებამოსილების სასამართლოს თავმჯდომარისთვის მინიჭება მოსამართლეებზე არასათანადო გავლენების მოხდენის რისკებს წარმოქმნის.

საქართველოს საერთო სასამართლოებში უმთავრეს გამოწვევად მუდმივად სახელდება მოსამართლეთა გადატვირთულობა და საქმეთა სიმრავლე.[57] არსებული პირობების გათვალისწინებით, ასევე, თავმჯდომარეთა მხრიდან ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობაზე არასათანადო გავლენების საფრთხეების[58] მიუხედავად, თავმჯდომარეებს კვლავ რჩებათ შესაძლებლობა შეცვალონ მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებელი.

2. მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრა

თავმჯდომარეთა უფლებამოსილება, ვიწრო სპეციალიზაციებში განსაზღვროს მოსამართლეთა შემადგენლობა, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. საყურადღებოა, რომ კონკრეტულ სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას

54 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „თავმჯდომარეების როლი და გავლენები სასამართლოში“. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RfbBgo, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

55 იქვე.

56 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/56, მუხლი 5. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc . წვდომის თარიღი: 22.01.2020]

57 „საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება“.[ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2NPu80J, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

58 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „თავმჯდომარეების როლი და გავლენები სასამართლოში“. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2sLUZ6C , წვდომის თარიღი: 22.01.2020]

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს. ხოლო კონკრეტული სპეციალიზაციების შემადგენლობების განსაზღვრა სასამართლოს თავმჯდომარეთა უფლებამოსილებაა. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია განსაზღვრულია თბილისის საქალაქო[59] და საapელაციო სასამართლოებში.[60]

დღეს არსებული რეგულირება პრობლემურია იმ კუთხით, რომ ის ფართო დისკრეციას ანიჭებს სასამართლოს თავმჯდომარეებს და ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობის განსაზღვრის დროს, მათ არ ავალდებულებს, დაასაბუთონ მიღებული გადაწყვეტილება. ეს კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლოს თავმჯდომარეებმა სპეციალიზაციის შემადგენლობის ცვლილებით თვითნებური გავლენა მოახდინონ საქმეთა განაწილებაზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ამავე დროს სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობასაც იკავებდეს და ერთდროულად ჰქონდეს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს როგორც ზოგადად ვიწრო სპეციალიზაციის დადგენაზე, ისე მისი შემადგენლობის განსაზღვრის პროცესზე.

არსებული კრიტიკის საპასუხოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პირველ საანგარიშო პერიოდში ცვლილება შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების განსაზღვრის წესში.[61] თუმცა ცვლილების შემდეგაც ბუნდოვანია, ვინ და რა გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს „აუცილებელი შემთხვევისა“ და „მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების“ წინაპირობები, რომლის საფუძველზეც სხვა ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეს ეძლევა შესაძლებლობა, კონკრეტული საქმე განიხილოს.[62]

აღნიშნული სასამართლოს მიერ პროექტის გუნდისთვის მოწოდებული ინფორმაციიდან იკვეთება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მოსამართლემ სხვა ვიწრო სპეციალიზაციის საქმის განხილვაში ცხრაჯერ მიიღო მონაწილეობა.[63] აქედან 2 შემთხვევის საფუძვლად მითითებულია საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ მოსამართლეთა მიერ საქმეთა აცილება, რამაც გამოიწვია ერთ-ერთი კატეგორიის ვიწრო სპეციალიზაციაში კონკრეტული საქმის

59 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება № 1/233. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37dyTsJ , წვდომის თარიღი: 22.01.2020]

60 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება № 1/175. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36eAVaz , წვდომის თარიღი: 22.01.2020]

61 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება № 1/191. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2veBfJN , წვდომის თარიღი: 22.01.2020]

62 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 35. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Rgs8Rl , წვდომის თარიღი: 22.01.2020]

63 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № 3/83, № 3/84.

განმხილველ მოსამართლეთა რაოდენობის ამოწურვა, ან ამავე მიზეზით საქმეთა კოლეგიურად განხილვისთვის მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა.[64] რაც შეეხება დანარჩენ 7 შემთხვევას, მოსამართლეთა შვებულებების გამო, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეთა სპეციალიზაციაში საქმეთა კოლეგიურად განხილვისთვის უფლებამოსილ მოსამართლეთა რაოდენობა საკმარისი არ იყო, საქმის განხილვის ვადა კი 1 დღეს შეადგენდა.[65]

პროექტის გუნდმა ასევე მიმართა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს და თავმჯდომარეების მიერ ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე მიღებული ბრძანების ასლები მოითხოვა, ვიწრო სპეციალიზაციების შემოღების თარიღიდან 2019 წლის ჩათვლით.[66] თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მითითებულია, რომ სასამართლოს თავმჯდომარის თავდაპირველი ბრძანების შემდეგ, 2018 წლის 3 მაისიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის თაობაზე დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 15 ბრძანება გამოიცა.[67] თბილისის საქალაქო სასამართლომ კი, წერილის საპასუხოდ მხოლოდ უახლესი ბრძანების ასლი წარმოადგინა.[68] დამატებითი წერილობითი კომუნიკაციის შემდეგ, პროექტის გუნდისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის/ცვლილების ბრძანების ასლები, კვლავაც არ არის სრულად ხელმისაწვდომი.

ამასთან დაკავშირებით, EMC-მ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს და დასახელებული ინფორმაცია მოითხოვა,[69] თუმცა მოთხოვნა არც ამ შემთხვევაში დაკმაყოფილდა.[70] ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი განხილვის სხდომაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად გამოთხოვილი ინფორმაციის დამუშავებისთვის საჭირო დიდი დრო და რესურსი დაასახელა. ანგარიშზე მუშაობის დროისათვის, ადმინისტრაციული სარჩელი წარდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოში[71] და აღნიშნულ საქმეზე სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობს.

64 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № 3/83, № 3/84.

65 იქვე.

66 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ 2019 წლის 2 მაისის წერილი № g01/325/2019.

67 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № 3/83, № 3/84.

68 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 მაისის წერილი № 3-0650/12509.

69 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ ადმინისტრაციული საჩივარი, № g01/378/2019.

70 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება № 3033927.

71 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ ადმინისტრაციული სარჩელი, ადმინისტრაციული საქმე № 3/6622-19.

მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრისა და ცვლილების განხორციელების უფლებამოსილების თავმჯდომარისთვის მინიჭების პრობლემურობა თვალსაჩინოდ გამოიკვეთა 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტთან მიმდინარე მანიფესტაციის დროს დაკავებულ პირთა სამართალდარღვევის საქმეების განხილვისას. პროექტის გუნდმა აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს მიმართა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, 20-21 ივნისს პარლამენტთან მიმდინარე მანიფესტაციის დროს დაკავებულ პირთა სამართალდარღვევის საქმეები თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით განაწილდა. საქალაქო სასამართლომ პროექტის გუნდს მიაწოდა თავმჯდომარის ბრძანების ასლები ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე 2019 წლის 19-25 ივნისის პერიოდის გათვალისწინებით. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დასახელებულ პერიოდში თავმჯდომარის მიერ გამოიცა სამი ბრძანება, 19, 21 და 24 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის თაობაზე.[72]

ამავე თარიღებში ცვლილება, მათ შორის, შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით განსახილველი საქმეების ვიწრო სპეციალიზაციაში. 21 ივნისის ბრძანებით, დაახლოებით ოთხჯერ გაიზარდა დასახელებული კატეგორიის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა რიცხვი. ხოლო 24 ივნისის ბრძანებით, აღნიშნული ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შემადგენლობა კვლავ 21 ივნისს შეტანილ ცვლილებამდე არსებული შემადგენლობით განისაზღვრა, რაც ლოგიკური ცვლილება იყო.[73]

პროექტის გუნდს 20-21 ივნისს მიმდინარე მანიფესტაციასთან დაკავშირებული საჩივრების განმხილველი მოსამართლეების თაობაზე ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლომაც მიაწოდა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს თავმჯდომარეს 2019 წლის ივნისში მორიგეობის გრაფიკი არ დაუმტკიცებია,[74] შესაბამისად, სასამართლოში შესული საჩივრები შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციის მქონე მოსამართლეებზე შემთხვევითი პრინციპის დაცვით განაწილდა.[75] თუმცა თავმჯდომარემ ცვლილება შეიტანა სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში და მანამდე სამი მოსამართლით დაკომპლექტებულ კოლეგიას კიდევ ერთი მოსამართლე დაუმატა. აღნიშნული ცვლილებაც ლოგიკური იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება - ამ მოვლენებზე საერთო ჯამში სააპელაციო სასამართლოში 76 საჩივარი შევიდა, რომელიც შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციის

72 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის წერილი №3-0482/3068506.

73 იქვე.

74 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის წერილი № 3/5028.

75 იქვე.

მხოლოდ სამ მოსამართლეზე განაწილდა, ხოლო მეოთხე მოსამართლეს - მიხეილ ჩინჩალაძეს (რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეა) ამ შემთხვევაშიც არცერთი საქმე არ განუხილავს.[76] გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროექტის გუნდის არაერთი მიმართვის მიუხედავად, აგრეთვე უცნობია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი.[77]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ივნისის პერიოდში მიმდინარე მოვლენების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს დატვირთულობის ფონზე, სასამართლოს თავმჯდომარემ გაზარდა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობა, რათა ერთდროულად შესული საქმეები სასამართლოს დროულად განეხილა. ამავე დროს, თავადვე აირიდა აღნიშნული საქმეების განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარეც სწორედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განმხილველ ვიწრო სპეციალიზაციაში ირიცხებოდა. შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარეებისთვის მინიჭებული აღნიშნული უფლებამოსილება, ერთი შეხედვით, სწორედ ექსტრემალური შემთხვევების ეფექტიანად მართვას ისახავს მიზნად, მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ აღნიშნული ბერკეტი დაუბალანსებლად დიდ ძალაუფლებას ანიჭებს სასამართლოს თავმჯდომარეს და აჩენს რისკებს, მოსამართლეთა შემადგენლობის შერჩევითად განსაზღვრისთვის.

3. მორიგეობის გრაფიკის განსაზღვრა

თავმჯდომარის პრობლემური უფლებამოსილებაა მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის განსაზღვრა და მასში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა. საერთო სასამართლოებში მორიგეობის განრიგი წინასწარ არის განსაზღვრული, თუმცა თავმჯდომარეს შეუძლია მორიგეობის დადგენილ გრაფიკში ცვლილების შეტანა, რა დროსაც თავმჯდომარე არ არის ვალდებული, დაასაბუთოს გრაფიკში განხორციელებული ცვლილების აუცილებლობა. შესაბამისად, მორიგეობის ამჟამად არსებული წესი მოსამართლის საქმის კონკრეტულ მოსამართლეზე გადაცემის შესაძლებლობას იძლევა.[78]

პროექტის გუნდმა საქართველოს მსხვილ სასამართლოებს მიმართა და მოსამართლეთა მორიგეობის განრიგის თაობაზე საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული ინფორმაციის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში მორიგეობა დადგენილი არ არის.[79] რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოებს, პროექტის გუნდისთვის არ იყო

76 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის წერილი № 3/5028.

77 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №27/32-03-ო.

78 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 34. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

79 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № 68- 2/10; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № 3/83, № 3/84; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი № ნს/03-20.

ხელმისაწვდომი რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში დადგენილი მორიგეობის განრიგების შესახებ ინფორმაცია. სასამართლოთა წერილებში აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა მორიგეობის განრიგი არ არის საჯარო ინფორმაცია.[80] დამატებით მიზეზად კი, მორიგეობის განრიგის დაარქივებული სახით არარსებობა დასახელდა.[81] საყურადღებოა, რომ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" მიერ პირველ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილი მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკი, პროექტის გუნდს, სასამართლოების უმრავლესობამ სრულად მიაწოდეს.[82]

მეორე საანაგრიშო პერიოდში რუსთავის საქალაქო სასამართლომ პირველი მიმართვის შედეგად სრულად გაასაჯაროვა მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოში დადგენილი მორიგეობის განრიგისა და მასში შესული ცვლილებების თაობაზე. პროექტის გუნდს მიეწოდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 28 ბრძანების ასლი მოსამართლეთა მორიგეობის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2018 წლიდან 2019 წლის ოქტომბრამდე პერიოდის გათვალისწინებით.[83] სამწუხაროდ, ხელმეორედ სასამართლოსთვის მიმართვის შემდეგ, რუსთავის საქალაქო სასამართლომ პროექტის გუნდს აღარ მიაწოდა მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკი და მიუთითა, რომ ეს ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის და არ მიმდინარეობს მათი მონაცემთა ბაზაში განთავსება.[84] პირველი საანგარიშო პერიოდის შემდეგ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტის მკვეთრი გაუარესება, თავმჯდომარეთა მიერ მორიგეობის უფლებამოსილების ცხადი მოწესრიგების არარსებობის პირობებში, შეუძლებელს ხდის საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემაზე სრულყოფილად დაკვირვებას.

თავმჯდომარეთა მიერ მორიგეობის გრაფიკის განსაზღვრისა და მასში ცვლილების უფლებამოსილების პრობლემურობა ბუნდოვანი მოწესრიგების პირობებში, განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა 2019 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტთან მიმდინარე მანიფესტაციის დროს დაკავებულ პირთა საქმეებში. 2019 წლის 18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მანიფესტაციის ფარგლებში სამართალდარღვევის საფუძვლით სამართალდამცავებმა აქციის ზოგიერთი მონაწილე

80 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 იანვრის წერილი №3-0603/3400357; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №74/გ; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №34; თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 13 იანვრის წერილი №10; გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №გ/ფ-167.

81 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 იანვრის წერილი №3-0603/3400357; თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 13 იანვრის წერილი №10; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №b1/1; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 21 იანვრის წერილი №78; გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №გ/ფ-167.

82 მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 14 სექტემბრის წერილი № 166; ხაშურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის წერილი № 5441; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს წერილი № 204; თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის წერილი № 495.

83 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 ოქტომბრის წერილი № 1055/გ.

84 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №74/გ.

დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციის თანახმად, თავმჯდომარის მიერ დადგენილი მორიგეობის გრაფიკით მხოლოდ ერთი მორიგე მოსამართლე იყო გათვალისწინებული.[85] 37 სამართალდარღვევის განხილვა მხოლოდ ერთი მოსამართლის მორიგეობის პირობებში პრობლემური აღმოჩნდა ვადების დაცვისა და დაცვის მხარისთვის არგუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის ნაწილში. პროექტის გუნდმა თბილისის საქალაქო სასამართლოს შეკითხვით მიმართა, იმ პერიოდში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, შეიტანა თუ არა თავმჯდომარემ მორიგეობის განრიგში ცვლილება, და თუკი არ შეიტანა, რა იყო ამის მიზეზი. კითხვას სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ გასცა პასუხი და მიუთითა, რომ 2019 წლის 18 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოდენობის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარეს ნოემბრის მორიგეობის გრაფიკში ცვლილება არ შეუტანია.[86]

ამ შემთხვევამ აჩვენა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს თავისი უფლებამოსილება, შეიტანოს ცვლილება მოსამართლეთა მორიგეობის განრიგში, შესაბამისი დასაბუთებისა და ვადების არარსებობის პირობებში, შექმნილი კრიზისული ვითარების სწორი და ეფექტიანი მენეჯმენტისთვის არ გამოუყენებია. ნათლად განსაზღვრული რეგულირების არარსებობის გათვალისწინებით, მეორე საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ივნისი-ნოემბრის მაგალითები ადასტურებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარის ხსენებული უფლებამოსილება, მანიპულაციურია, აჩენს საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტის რისკებს და ტოვებს მისი არაჯანსაღი ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ არასათანადო გავლენების რისკები ასევე არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მართალია, სასამართლოში მორიგეობა დადგენილი არ არის, თუმცა თავმჯდომარეებს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის განსაზღვრის პრობლემური უფლებამოსილება გააჩნიათ.

4. მოსამართლის აცილება და თვითაცილება

მონიტორინგის პირველ ანგარიშში, ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა მოსამართლის აცილების/თვითაცილების შემთხვევებში ცხადი მოწესრიგების არარსებობა, რომელიც საქმის განაწილების პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა.[87] კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ცხადად არ განუსაზღვრავს, საქმის განაწილებასთან დაკავშირებული რა ქმედებები და ვინ უნდა განახორციელოს მოსამართლის აცილების/თვითაცილების შემთხვევაში. ასეთ პირობებში იქმნება საქმის განხილვიდან მოსამართლის დაუსაბუთებლად აცილების/თვითაცილების შესაძლებლობა, რაც სასამართლოს საქმიანობაზე არასათანადო გავლენების მოხდენის რისკებს შეიცავს.

85 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ნოემბრის წერილი №3-04126/3294851.

86 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 იანვრის წერილი №33/104-03-ო.

87 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 31. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

წესის თანახმად, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსამართლის აცილების/თვითაცილების დროს საქმე დასახელებული მოსამართლის მონაწილეობის გარეშე ნაწილდება სხვა მოსამართლეზე. ამავე წესით ნაწილდება საქმე ობიექტური მიზეზის არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის კონკრეტული მოსამართლის მიერ მასზე განაწილებული საქმის განხილვას. თუმცა, როგორც პირველი მონიტორინგის ანგარიშშია განმარტებული,[88] პრობლემურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ წესში ასეთი შემთხვევების გამოვლენის შემდეგ ცხადი და სათანადოდ განსაზღვრული პროცედურის არარსებობა. პროექტის გუნდის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციაში სასამართლოები მიუთითებენ, რომ თვითაცილების/აცილების შემთხვევაში, საქმე ხელახლა ნაწილდება საბჭოს მიერ დამტკიცებული წესისა და საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, კანონით დადგენილ ვადებში.[89] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსამართლის მიერ აცილების/თვითაცილების შემთხვევაში, საქმე საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესით[90] - სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ, დაუყოვნებლივ, შემთხვევითი განაწილების პრინციპით ნაწილდება.[91]

აცილების/თვითაცილების პროცესი საქართველოს სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით იმგვარად არის მოწესრიგებული, რომ ასეთ დროს ითვალისწინებს თავმჯდომარის ჩართულობას საქმის განაწილების პროცესში.[92] საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული საფუძვლების გამოვლენის თაობაზე უნდა შეატყობინონ თავად სასამართლოს თავმჯდომარეს. სასამართლოს თავმჯდომარე ბუნდოვანი პროცედურის საფუძველზე საქმეს გადასცემს სასამართლოს კანცელარიას, რომელიც კონკრეტული მოსამართლის გამორიცხვით, ხელახლა ანაწილებს საქმეს საქმეთა ელექტრონული განაწილების პროგრამის საშუალებით.[93] საბჭოს საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით კვლავ არ არის განმარტებული, თუ ვინ აბრუნებს ასეთ შემთხვევებში საქმეს სასამართლოს კანცელარიაში, ვინ არის საქმის ხელახალი განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები პირი და რა ვადებს ითვალისწინებს აღნიშნული პროცედურა.[94]

88 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 31. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020].

89 თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 13 იანვრის წერილი №10; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №ხ1/1; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №74/გ.

90 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

91 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №68-2/10.

92 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ.31. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

93 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ.32. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

94 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

არასამთავრობო ორგანიზაციამ, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, საქართველოს პარლამენტს 2018 წელს საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში თავმჯდომარეთა როლის მინიმუმამდე შემცირებასთან დაკავშირებული ორი საკანონმდებლო წინადადება წარუდგინა.[95] პარლამენტისთვის საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე წარდგენილი წინადადებები ითვალისწინებს ცვლილებებს, რომლითაც მოსამართლის აცილების/თვითაცილების პროცესში თავმჯდომარის მონაწილეობა მინიმუმამდე შემცირდება და ახალი მოსამართლე საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამით შეირჩევა. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივაზე მსჯელობა სასამართლო სისტემის მეოთხე ტალღის რეფორმის საკითხებთან ერთად არ წარმართულა.[96] ამ ეტაპზე წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტს გადაწყვეტილება არ მიუღია.

5. მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა

მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა და ამ პროცესში საქმეთა შემთხვევითად განაწილების შეფერხება კვლავ ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება.[97] პირველი ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრა საბჭოს გადაწყვეტილების თავდაპირველი რედაქციით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო საქმეთა ელექტრონული სისტემით სათანადო რაოდენობის მოსამართლეების შერჩევის გზით.[98] 2017 წლის 24 ივლისის ცვლილების შედეგად, აღნიშნული უფლებამოსილება სასამართლოს თავმჯდომარეს მიენიჭა.[99] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განმარტებით, ცვლილების საფუძველი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ნორმაა, რომლითაც დადგენილია, რომ მოტივირებული განჩინება საქმის სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას ამ საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით.[100] თუმცა, ვინაიდან საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დამტკიცება საქართველოს საერ-

95 საკანონმდებლო წინადადების პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RFJnKP, წვდომის თარიღი:22.01.2020]; საკანონმდებლო წინადადების პროექტი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37ifDdG, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

96 საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის დღის წესრიგი. [ხელმისაწვდომია:https://bit.ly/30OSAVl, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

97 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ.23. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

98 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

99 იქვე.

100 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 26.

თო სასამართლოებში დადებითი ცვლილება იყო, აუცილებელია, საპროცესო კოდექსის დებულებებიც მასთან შესაბამისობაში მოვიდეს და არა პირიქით.

რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებს, კოლეგიური განხილვისას ელექტრონული სისტემის საშუალებით საქმე შემთხვევითად ნაწილდება თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე. თუმცა პრობლემურია კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისას დანარჩენი მოსამართლეებით დაკომპლექტების წესი. ამ მხრივ, კვლავ ბუნდოვანია, საქმეთა ელექტრონული პროგრამის შედეგად შერჩეული თავმჯდომარე/მომხსენებელი მოსამართლე წინასწარ დადგენილი კოლეგიური შემადგენლობით განიხილავს საქმეს, თუ ასეთ დროს ხდება ახალი კოლეგიური შემადგენლობის ფორმირება პროგრამით შერჩეული თავმჯდომარე/მომხსენებელი მოსამართლის მონაწილეობით.[101]

თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მითითებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა სააპელაციო სასამართლოში ე.წ. „მყარი/მუდმივი კოლეგიების“ შექმნის პირდაპირ რეგულაციას არ ითვალისწინებს.[102] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების კონკრეტული ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მათი დატვირთულობისა და დანიშნული/დასანიშნი სხდომების განრიგის გათვალისწინებით ქმნიან კოლეგიებს, რომლებიც, როგორც წესი, ერთგვარი სტაბილურობით ხასიათდება.[103]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებით, საბჭოს მიერ 2017 წლის 1 მაისს დამტკიცებული განაწილების წესის მიხედვით საქმე ნაწილდება ერთ მოსამართლეზე და განაწილებულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლე ითვლება მომხსენებელ მოსამართლედ.[104] მათი განმარტებით, საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის დანარჩენი ორი მოსამართლის მონაწილეობა ბრძანებით ან სხვა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული არ არის.[105] რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა შემთხვევითად შეარჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეებს, საქმის თავდაპირველი განმხილველი მოსამართლეებისა და სხდომის თავმჯდომარის/მომხსენებელი მოსამართლის გათვალისწინებით.[106]

101 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56-ის, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc . წვდომის თარიღი: 22.01.2020]

102 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №3/83, №3/84; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №68-2/10.

103 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №3/83, №3/84.

104 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 13 თებერვლის წერილი №ნს/10-20.

105 იქვე.

106 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56-ის, მუხლი 4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc . წვდომის თარიღი: 22.01.2020]

შესაბამისად, გაურკვეველია სამი მოსამართლის შემადგენლობით, კოლეგიაში ელექტრონული პროგრამის საშუალებით შერჩეული ერთი მოსამართლის გარდა, დანარჩენი ორი მოსამართლე რომელ წესზე/პროცედურაზე დაყრდნობით შეირჩევა. აღნიშნულ პრობლემაზე პირველი მონიტორინგის ანგარიშშიც მიეთითა, თუმცა ცვლილებაზე უფლებამოსილი ორგანოებისგან რეაგირება არ მოჰყოლია.[107]

107 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 21-22. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

III. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შემთხვევები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, თუ სისტემის შეფერხება 2 დღეს აღემატება, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი საქმეებს შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა გვარის ანბანური რიგითობის მიხედვით ანაწილებს.[108]

ამასთან, შეფერხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის არსებობისას, ან თუ შემოსული საქმის განხილვის ვადა 24, 48, ან 72 საათია, და ამასთანავე, შეფერხების ვადა სამ საათს აღემატება, საქმე ანბანური რიგითობის წესით ნაწილდება. გამოვლენილი შეფერხების თაობაზე, სსიპ-საერთო სასამართლოების დეპარტამენტი/ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტსა და შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს/თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს.[109]

გამოვლენილი შეფერხების აღმოფხვრისას, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტს მიმართავს მოხსენებითი ბარათით, სადაც აღნიშნულია შეფერხების დროს შემოსული და ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე განაწილებული საქმეები,[110] შესაბამისი განმხილველი მოსამართლის სახელისა და გვარის მითითებით.

პირველი მონიტორინგის პერიოდში (2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) გამოვლინდა 6 ასეთი შეფერხება, რომლის დროსაც ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე, რიგითობის წესის დაცვით 46 საქმე განაწილდა.[111] მეორე საანგარიშო პერიოდში, (2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) შეფერხების ორი შემთხვევა დაფიქსირდა. კერძოდ, გორის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მიწოდებულ მოხსენებით ბარათში წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 წლის 13 მარტს სასამართლოში დრო-

108 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56-ის, მუხლი 6. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

109 იქვე.

110 იქვე.

111 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 38. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

ებითი შეფერხებისას განაწილებულ საქმეებზე, საქმის განმხილველი მოსამართლის მითითებით.[112] გორის რაიონულ სასამართლოში, 14:15 საათიდან 19:20 საათამდე, მომხდარი შეფერხებისას სულ 8 საქმე განაწილდა. მათ შორის:

- ორი პროკურორის შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ;
- ერთი პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ამავე საქმეზე შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ;
- ერთი პროკურორის შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის გამართვის ვადის გაგრძელების შესახებ;
- ერთი ადვოკატის შუამდგომლობა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ;
- ორი პროკურორის შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ;
- ერთი პროკურორის შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ.

პირველ საანგარიშო პერიოდში შეფერხების შედეგად რიგითობის წესით განაწილებულ საქმეთა შორის, გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, რომლებიც წესის თანახმად, არ ხვდებოდნენ დაუყოვნებლივ ან შემჭიდროებულ ვადებში განსახილველ საქმეთა ჩამონათვალში. მათ შორის, ორი სისხლის სამართლის საქმე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე.[113] მეორე მონიტორინგის პერიოდში, გორის რაიონულ სასამართლოში შეფერხებისას, ასევე გამოვლინდა ერთი ასეთი შემთხვევა. კერძოდ, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის რიგითობის წესით განაწილება მოსამართლეზე.[114,] აღნიშნული საქმის შეფერხებისას, მისი დაუყოვნებლივ განაწილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციისთვის პროექტის გუნდმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და გორის რაიონულ სასამართლოს მიმართა. საბჭოს განმარტებით, გორის რაიონულ სასამართლოში გამოვლენილი დროებითი შეფერხებისას, საქმე რიგითობით „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესით“ განაწილდა.[115] გორის რაიონულმა სასამართლომ მითითებულ შემთხვევასთან დაკავშირებით წერილის საპასუხოდ განმარტა, რომ სასამართლოს თავმჯდომარის რეზოლუციით საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით, მოსამართლეთა შორის განაწილდა საქმეები, რომელთა განხილვის ვადა 24, 48 ან 72 საათი იყო. განაწილება მოხდა

112 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №28/33-03-ო.

113 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 39. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

114 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №28/33-03-ო.

115 იქვე.

აღნიშვნით „ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე“, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის[116] თანახმად.[117]

საანგარიშო პერიოდში, შეფერხების მეორე შემთხვევა 2019 წლის 2 სექტემბერს მოხდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში, რომლის აღმოფხვრასაც ერთი დღე დასჭირდა. შეფერხების დროს სასამართლოში შევიდა ორი სამოქალაქო სარჩელი თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. მათი განმარტებით, რადგან შეფერხება ორ დღეს არ აღემატებოდა, რიგითობის წესით საქმის განაწილების საფუძველი არ არსებობდა.[118]



116 საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 58[1].

117 გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის წერილი №g/ფ-167.

118 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №28/33-03-ო.

IV. მოსამართლეებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილება

კვლავ გამოწვევად რჩება მოსამართლეებს შორის ელექტრონული განაწილების პროგრამის საშუალებით საქმეთა არათანაბარი განაწილება, ვინაიდან განაწილების წესი არ ითვალისწინებს საქმეთა სირთულეს.[119] ამასთან, წესი განაწილების განსხვავებულ პროცენტულ მაჩვენებელს ადგენს სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეებისთვის/თავმჯდომარის მოადგილეებისთვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და მდივნისათვის,[120] რაც ინდივიდუალური მოსამართლისთვის, თანასწორობის მხრივ, შესაძლოა, გამოწვევას წარმოადგენდეს. გაზრდილი პროცენტული დატვირთულობით ნაწილდება საქმეები ახლად დანიშნულ მოსამართლეებზე.

წინამდებარე ცხრილი ასახავს როგორც პირველ, ისე მეორე საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი მოსამართლე წევრისა და სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის განსხვავებული დატვირთულობის მაჩვენებელს.[121] აღსანიშნავია, რომ პირველი მონიტორინგის პერიოდის[122] მსგავსად, პროექტის გუნდის მხრიდან პირველ მიმართვაზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მოსამართლეთა დატვირთულობის თაობაზე გამოთხოვილ ინფორმაციაში, არც ამ შემთხვევაში მიუთითებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი.[123] პროექტის გუნდისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში ასევე არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის და თბილისის საქალაქო სასამართლოს იმჟამინდელი თავმჯდომარის, ვასილ მშვენიერაძის დატვირთულობის მაჩვენებელი.[124] აღნიშნული ინფორმაცია არც განმეორებითი მოთხოვნის შედეგად გამხდარა ხელმისაწვდომი.[125] თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარისა და ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის 20%-იანი დატვირთულობის მაჩვენებლის შესახებ ინფორმაცია პროექტის გუნდს 2020 წლის 20 იანვრის წერილით გაეგზავნა.[126]

119 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 23-24. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37l0Uys, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

120 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 6. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

121 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №27/32-03-ო.

122 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილები: №1905/2562-03-ო, №2165/2980-03-ო, №2166/2979-03-ო.

123 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 მარტის წერილით №227/619-03-ო მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიხეილ ჩინჩალაძის მიერ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე) განხილულ იქნა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული თავმჯდომარის მიერ განსახილველი 20 საქმე.

124 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 18 ოქტომბრის წერილი №1111/3396-03-ო.

125 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი №27/32-03-ო.

126 იქვე.

სახელი, გვარი	ადმინისტრაციული თანამდებობა	დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი I საანგარიშო პერიოდში	დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი II საანგარიშო პერიოდში
მზია თოდუა	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	50%	50%
მიხეილ ჩინჩალაძე	თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	0%	არ მოგვაწოდეს
ლევან თევზაძე	თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე	20%	20%
თამარ ონიანი	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	20%	20%
რევაზ ნადარაია	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	20%	20%
ირაკლი ბონდარენკო	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	20%	20%
ირაკლი შენგელია	თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	100%	10%
დიმიტრი გვრიტიშვილი	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	5%	5%
ვასილ მშვენიერაძე	თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	0%	20%
გიორგი მიქაუტაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	0%	არ მოგვაწოდეს
სერგო მეთოფიშვილი	თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	10%	არ მოგვაწოდეს
დავით მამისეიშვილი	ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე	20%	20%
ლევან მეშველიანი	სამტრედიის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე	50%	50%
შოთა ნიკურაძე	ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე	100%	100%
დავით ნარიმანიშვილი	გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	100%	100%
არარატ ესოიანი	ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე	75%	100%

არსებული პირობების გათვალისწინებით, პრობლემურია მკვეთრი განსხვავება მოსამართლეებსა და სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეებს/თავმჯდომარეების მოადგილეებს შორის დატვირთულობის პროცენტულ მაჩვენებელს შორის. მეორე საანგარიშო პერიოდში მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია აჩვენებს, რომ აღნიშნული საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება და სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეები/თავმჯდომარეების მოადგილეები, სხვა მოსამართლეებთან შედარებით, დატვირთულობის კუთხით უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან. მიღებული ინფორმაციიდან ასევე ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი სასამართლოს თავმჯდომარე ადეკვატური დატვირთულობით იხილავს საქმეებს, ხოლო ზოგიერთ მათგანს დატვირთულობის ძალიან დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს განსაზღვრული. შესაბამისად, მოსამართლეებს შორის მკვეთრად განსხვავებული დატვირთულობის მაჩვენებელი მათ მიერ დაკავებული ადმინისტრაციული თანამდებობიდან გამომდინარე, უთანასწორო გარემოს ქმნის. მსგავსი მიდგომა, მაშინ, როდესაც სასამართლო სისტემაში არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მუდმივად სახელდება მოსამართლეთა გადატვირთულობა, ვერ პასუხობს სისტემაში არსებულ მძიმე მდგომარეობას საქმეთა სიმრავლისა და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის გათვალისწინებით.

V. მენეჯმენტის დეპარტამენტის როლი საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში

2017 წლის 1-ლ მაისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით, განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მნიშვნელოვანი ფუნქციები საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. მათ შორის:

- მენეჯმენტის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოსამართლის შვებულების, მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვას;
- მოსამართლე განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობისას დაუყოვნებლივ აცნობებს მენეჯმენტის დეპარტამენტს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას ელექტრონულ სისტემაში ასახავს;[127]
- სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარისგან ან სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირისგან იღებს ინფორმაციას ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების, მისი აღმოფხვრისა და შეფერხების დროს განაწილებულ საქმეთა შესახებ;[128]
- მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციებში ასევე მოიაზრება საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემაში მოსამართლეთა სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში რეგისტრაცია, ცვლილებების, შესწორებების ან დამატების შეტანა და რეგისტრაციის მონაცემების გაუქმება.[129]

მათი ფუნქციური მნიშვნელობიდან გამომდინარე, პირველი მონიტორინგის შედეგად ერთ-ერთი რეკომენდაცია, სწორედ მენეჯმენტის დეპარტამენტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული რაოდენობის სრულად დაკომპლექტება იყო. პირველ საანგარიშო პერიოდში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღო. სამწუხაროდ, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონკურსის შედეგები საზოგადოებისთვის კვლავ უცნო-

127 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 6.[ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

128 იქვე.

129 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 7. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aBAuLc, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

ბი იყო.[130] მეორე საანგარიშო პერიოდში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, არჩეულ იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე.[131]

საბჭოს მხრიდან მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის არჩევის გადაწყვეტილება არსებული დატვირთულობის პირობებში დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა მეორე საანგარიშო პერიოდში პროექტის გუნდის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 20 იანვრის მდგომარეობით, მენეჯმენტის დეპარტამენტისთვის განსაზღვრული 7 საშტატო ერთეულიდან მხოლოდ ოთხი ადგილია შევსებული.[132] დღემდე ვაკანტური რჩება 3 საშტატო ერთეული: 1 უფროსი კონსულტანტისა და 2 კონსულტანტის თანამდებობები.[133]

130 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, 2019, გვ. 42. [ხელმისაწვდომია:https://bit.ly/2sQtCZe, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

131 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება №1/4. [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3axMexY, წვდომის თარიღი: 22.01.2020]

132 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის წერილი № 26/31-03-ო.

133 იქვე.

VI. რეკომენდაციები

საყურადღებოა, რომ პირველი მონიტორინგის ანგარიშით გამოვლენილი გამოწვევების თითქმის სრული უმრავლესობა კვლავ გადაუჭრელი რჩება. საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა შემთხვევითი და თანაბარი განაწილების შესახებ ამ დრომდე მიღებული აქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმეთა ელექტრონული წესის დახვეწის მიზნით, მნიშვნელოვანია შემდეგი ქმედითი და სისტემური ნაბიჯების გადადგმა:

- აცილების/თვითაცილების შემთხვევაში, საქმეთა ხელახალი განაწილების თანმდევი პროცედურის განსაზღვრა და აღნიშნულ პროცესში თავმჯდომარის როლის გამორიცხვა;
- საქმეთა ელექტრონული სისტემის ყველა სასამართლოში ამოქმედება, მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის უზრუნველყოფით;
- ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის უფლებამოსილების გადაცემა თავმჯდომარის ნაცვლად იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე;
- მოსამართლეებს შორის საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში საქმეთა თანაბრად განაწილების პროცედურის დახვეწა, პროგრამის მიერ საქმის სირთულის გათვალისწინებით;
- სასამართლოს თავმჯდომარეთათვის მოსამართლის დატვირთულობის მაჩვენებლის გაზრდისა და შემცირების უფლებამოსილების ჩამორთმევა;
- კოლეგიური შემადგენლობის მიერ საქმის განხილვისას საქმის განმხილველი სამივე მოსამართლის ელექტრონული პროგრამის საშუალებით შერჩევა;
- მოსამართლეთა მორიგეობის წესის იმგვარად მოწესრიგება, რომ გამოირიცხოს შემთხვევითობის დაცვის გარეშე საქმის ერთი კონკრეტული მოსამართლისათვის პირდაპირ გადაცემის შესაძლებლობა;
- წესით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების არსებობისას საქმეთა სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის საფუძვლებისა და პროცედურის ნათლად გაწერა;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესში მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დეპარტამენტის სრულად დაკომპლექტება;
- საქმეთა ელექტრონული განაწილების სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გაცემის ხელმისაწვდომობის ერთიანი მაღალი სტანდარტის შემუშავება; საქმის განაწილების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ელექტრონული პლატფორმის ფორმირება/ამოქმედება.